კონფლიქტების ანალიზი და მართვა
Conflict Analysis and Management
(სამაგისტრო პროგრამა)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ მაგისტრანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი:

კონფლიქტოლოგიის მაგისტრი Master of Arts in Conflictology

პროგრამის ხანგრძლივობა და სტრუქტურა:
ორი აკადემიური წელი / ოთხი სემესტრი / 120 ECTS კრედიტი.

პროგრამა ორ წლიანია და მოიცავს:

- სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური რიგის საგნების თეორიულ კურსებს და სემინარებს.
- კონფლიქტური სიტუაციების და პროცესების შემთხვევების ანალიზის პრაქტიკას (Case studies);
- სპეციალურ ტრენინგებს მედიაციასა და კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატულ მეთოდებში, რომელთაც ატარებენ ქართველი და ამერიკელი სპეციალისტები და რომელთა წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტები მიიღებენ დამატებით სერტიფიკატს კონფლიქტის ანალიზის და მართვის სფეროში და მედიაციაში.
- საზაფხულო პრაქტიკას აშშ-ს უნივერსიტეტებში და /ან აშშ უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად საქართველოში
- პრაქტიკას ქართულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ თემატიკაზე.
- პრაქტიკას სახელმწიფო ორგანიზაციებში, ადგილობრივ თემში, კერძო ფირმებში და სხვა ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში.
- კვლევით საქმიანობას აქტუალური სამეცნიერო ან პრაქტიკული პრობლემის შესწავლის მიზნით.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანაფარდობა: 60% სწავლა, 40% - კვლევა.

სწავლების ენა: ქართული.
ყოველწლიურად იკითხება რამდენიმე კურსი ინგლისურად მოწვეული უცხოელი ლექტორების მიერ, ეს კურსები არჩევითია და მათი წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ შესაბამისი კრედიტი.

პროგრამის მიზნები:

კონფლიქტის ანალიზის და მართვის **სამაგისტრო პროგრამა მომზადებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტთან 4 წლიანი თანამშრომლობის შედეგად მათი უშუალო კონსულტაციებით და შეესაბამება ამ ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამას.**

კონფლიქტების ანალიზის და მართვის **სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებსაც ექნება ცოდნა სხვადსხვა დონის კონფლიქტების სტრუქტურის, შინაარსის და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებათა შესახებ. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც საშუალებას იძლევა პროგრამის კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდეთ უნარ- ჩვევები სხვადასხვა დონის კონფლიქტების მოგვარების და პრევენციისთვის.** კურსის მიზანია, მოამზადოს მკვლევარი/პრაქტიკოსი, რომელსაც შეეძლება თავისი ცოდნის გამოყენება ისეთი კონფლიქტების ანალიზის, მოგვარების და პრევენციისთვის, როგორიცაა ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, ბიზნეს კონფლიქტები, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური თუ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები. აღნიშნული სამაგისტრო სპეციალობის კურსდამთავრებულს მიენიჭება MA (კონფლიქტის ანალიზის და მართვის სფეროში) მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები და წესი

კონფლიქტოლოგიაში სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მასზე ჩაბარება შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრს ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის მქონეს, რომელიც გადალახავს სახელმწიფო სამაგისტრო გამოცდის მინიმალურ ზღვარს. აუცილებელია უცხო ენაში B-1 დონის სერტიფიკატი. ბარდება წერილობითი გამოცდა კონფლიქტოლოგიაში. საგამოცდო საკითხების გაცნობა შესაძლებელია თსუ

კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტში (თსუ, 2 კორპუსი, ოთახი 240, ტელ 225 20 95), ასევე თსუ-ს ვებგვერდზე www. tsu.ge

შედეგები:

სამაგისტრო კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული:

- უნდა ფლობდეს ღრმა თეორიულ ცოდნას
- უნდა ფლობდეს კონფლიქტის კვლევის მეთოდებს, მონაცემების სტატისტიკური დამუშავების, შედეგების ანალიზის და პრეზენტაციის მეთოდებს;
- უნდა ფლობდეს კონფლიქტის მოგვარების ალტერნატულ მეთოდებს.
- შეეძლოს მეცნიერული თუ პრაქტიკული კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება;
- იცნობდეს შესაბამისი და მოსაზღვრე სფეროში დასაქმებული ორგანიზაციების საქმიანობას და სპეციფიკას.

პროგრამის შედეგად განვითარებული ზოგადი კომპეტენციები:

- ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების გაღრმავება.
- მეცნიერების ეთიკის დაცვის გაცნობიერება.
- სხვადასხვა სფეროებიდან მიოპოვებული მასალების და შესრულებული კვლევის შედეგების კრიტიკული გააზრების უნარი.
- ინფორმაციის (მონაცემების თუ სიტუაციის) ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
- განზოგადების უნარის გაღრმავება.
- უწყვეტი განათლების (მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის) საჭიროების გაცნობიერება.

დარგობრივი კომპეტენცია:

1. ***ცოდნა და გაცნობიერება:***

- კონფლიქტების სფეროში არსებული ცოდნის თეორიული საფუძვლების დაუფლება.

- მიმდინარე და ქრესტომატიული კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის ფლობა.
- რეალური კონფლიქტების ანალიზის უნარი
- კვლევის მეთოდების , მათ შორის პროგრამათა პაკეტის (SPSS) გამოსაყენებლად საჭირო ცოდნის შეძენა.
- კონფლიქტის ანალიზის და მართვის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

2. *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი*:

- კვლევის მასალების დასამუშავებლად სხვადასხვა კვლევის მეთოდების გამოყენებით კონფლქტების სფეროში არსებული ემპირიული მასალის დამოუკიდებლად დამუშავების უნარი.
- ფუნდამენტური, ისე პრაქტიკული ხასიათის კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების უნარის შემუშავება.
- კონკრეტული კონფლიქტების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები

3. *დასკვნის უნარი*:

- მასალის დამუშავების შედეგების ანალიზის, განმარტების, ჯეროვანი დასკვნების გაკეთების უნარის შემუ-შავება.

შედეგების მიღწევის მეთოდები

ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, შემთხვევების ანალიზი (Case studies), *ლაბორატორიული მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაშები,* ტრენინგები, კვლევითი სამუშაო, პრაქტიკა, *სიმულაციები და გამოცდილებითი სწავლა-აწავლების სხვა მეთოდები.*

ლექცია:

1. ინტერაქტიური ლექცია
2. ლექცია პრეზენტაცია
3. დარგის სპეციალისტის ლექცია (მოწვევით)
4. ვიდეო მასალის ჩვენება - კომენტირება

სემინარი:

1. პრობლემებზე დაფუძნებული დისკუსია -
2. კეისებზე მუშაობა
3. სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა
4. აუდიო-ვიდეო მასალის ჩვენება - განხილვა
5. ტექსტის კითხვა და ანალიზი/ინტერპრეტაცია

ვორქშოფი

პრაქტიკული:

1. როლური თამაშები
2. ქეისი (პრაქტიკულ მაგალითებზე)
3. კლინიკური პრაქტიკა კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატული მეთოდების გამოყენებაში(ACR)
4. სიმულაციური მუშაობა
5. მუშაობა აუდიო მასალის გამოყენებით
6. სავარჯიშოებზე მუშაობა
7. ტრენინგები

სასწავლო პრაქტიკა

შეფასების სისტემა:

I. სემინარი

1. ტესტი
2. კითხვარი
3. თემის/რეფერატის წერა მეთვალყურეობის ქვეშ
4. პრეზენტაცია
5. დისკუსია

II. შუალედური გამოცდა

1. ტესტი
2. ზეპირი გამოცდა
3. წერითი გამოცდა
4. გამოცდა ლიტერატურის გამოყენებით
5. თრენინგის და მედიაციის სესიის ჩატარება

III. დასკვნითი გამოცდა:

1. ტესტი
2. ზეპირი გამოცდა
3. წერითი გამოცდა
4. გამოცდა ლიტერატურის გამოყენებით

I სემესტრი	- შესავალი კონფლიქტოლოგიაში (სავ) - კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები (სავ) - აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციები (სავ) - სპეციალური ინგლისური ენა (არჩ) - პროექტის მართვა (არჩევითი) - სოციალური ფსიქოლოგია (არჩ) - კვლევის მეთოდები –I (სავ)	**5** **5** **5** **5** **5** **5** **5**	**30**
II სემესტრი	- შესავალი კონფლიქტოლოგიაში (სავ) - კონფლიქტების ანალიზი და გადაჭრა (სავ) - ინტერჯგუფური კონფლიქტები (არჩ) - კონფლიქტის გლობალური კონტექსტი (სავ) - კულტურა და კონფლიქტი (არჩ) - მედიაცია (არჩ) - კვლევის მეთოდები –II (სავ)	**5** **5** **5** **5** **5** **5** **5**	**30**
III სემესტრი	- spss (სავ) - საერთაშორისო კონფლიქტები (სავ) - მშვიდობის მშენებლობა (სავ) - პოლიტიკური კონფლიქტების მართვა (არჩ) – კონფლიქტის ფსიქოლოგიური თეორიები (არჩ) – ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში (არჩ) – კონფლიქტის პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სისტემაში (არჩ)	**5** **5** **5** **5** **5** **5** **5**	**30**

IV სემესტრი	- სამაგისტრო შრომა	**30**	**30**
სულ		**120**	**120**

სავალდებულო და არჩევითი კრედიტების გადანაწილება

სავალდებულო	**არჩევითი**
შესავალი კონფლიქტებში – 10	სპეციალური ინგლისური ენა– 5
კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები – 10	პროექტის მართვა – 5
აღმოსავლეთ და დასავლეთ ცივილიზაციები - 5	სოციალური ფსიქოლოგია – 5
ინტერპერსონალური კონფლიქტები – 5	ინტერჯგუფური კონფლიქტები – 5
კონფლიქტის გლობალური კონტექსტი – 5	კულტურა და კონფლიქტი – 5
კვლევის მეთოდები – 5	მედიაცია – 5
Spss – 5	კონფლიქტის პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სისტემაში – 5
საერთაშორისო კონფლიქტები – 5	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა – 5
მშვიდობის მშენებლობა – 5	კონფლიქტის ფსიქოლოგიური თეორიები – 5
	ეკონომიკა და კონფლიქტის ტრანსფორმაცია – 5

პროგრამის ხელმძღვანელი

სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი გუგული მაღრაძე.

დასაქმების სფეროები

კონფლიქტების ანალიზი და მართვა
Conflict Analysis and Management
სამაგისტრო პროგრამა

კონფლიქტოლოგიის მაგისტრების დასაქმების სფერო ვრცელია: კონფლიქტოლოგიის მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ ყველა სფეროში, სადაც მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება, მართვა. მათ წარმატებით შეუძლიათ იმუშაონ როგორც სამთავრობო, ისე კერძო ორგანიზაციებში, ადგილობრივ თემში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვაგან წამოჭრილი სადაო საკითხების მოსაგვარებლად, ასევე დიდია მათი როლი სხვადასხვა თანამდებობის მქონე მუშაკთა მომზადებაში სათანადო ტრენინგების საშუალებით, რათა მათ შეძლონ თავიდან აიცილონ კონფლიქტური სიტუაციები ან კონფლიქტის შემთხვევაში მოაგვარონ წამოჭრილი კონფლიქტები მოლაპარაკების და კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატული მეთოდების გამოყენებით, რითაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნებისმიერი დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ინტენსიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში. ამასთან ერთად მაგისტრატურაში ხდება მათი მომზადება სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაცია:
პროგრამა მოემსახურება არაუმეტეს 20 სტუდენტს.

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

- სრული პროფესორი – გუგული მაღრაძე
- სრული პროფესორი – ნოდარ ბელქანია
- ასოცირებული პროფესორი – რეზო ჯორბენაძე
- ასოცირებული პროფესორი – ანი ქიტიაშვილი
- ასისტენტ პროფესორი – მედეა დესპოტაშვილი
- ასისტენტ პროფესორი – ლია ჩხიკვიშვილი
- ასისტენტ პროფესორი – ნინო ქაჯაია
- ასისტენტ პროფესორი –ლაშა ტუღუში
- ენების ცენტრის მასწავლებელი - დარეჯან აფციაური

პროგრამის ანალოგები:

George Mason University (USA) – http://icar.gmu.edu/

American University (USA) - http://www.american.edu/sis/programs/MA-IPCR-and-Teaching.cfm
Maryland University (USA) http://www.inform.umd.edu/EdRes/Topic/Diversity/Response/UM/articles/out.html
Harvard University(USA) - http://www.pon.harvard.edu/category/dispute-resolution-directory/
Johns Hopkins University(USA) - http://www.sais-jhu.edu/academics/functional-studies/conflict-management/courses.htm
University of Denver (USA) - http://www.du.edu/con-res/grad_program/index.html

პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამას (კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტს) ეკუთვნის:

- 240-ე სამუშაო ოთახი, რომელში ტარდება სალექციო კურსები მაგისტრებთან და მეცადინეობები დოქტორანტებთან. აღნიშნულ ოთახში არსებული ინვენტარი, წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის – საკუთრებას.
- 239-ე აუდიტორია, რომელიც დატვირთული მაგისტრების სასწავლო ცხრილით. ოთახში არსებული ინვენტარი ეკუთვნის უნივერსიტეტს.

(აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტების შესაბამისად თსუ-ს ბაზაზე შექმნილი მედიაციის კლინიკისთვის გამოყოფილი იქნა ოთახები 237 და 236, რომლებიც დროებით პირველ კორპუსის რემონტთან დაკავშირებით გადაეცა თსუ-ს დეპარტამენტებს, ამიტომ მედიაციის საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო სეანსები და ტრენინგები ტარდება შეზღუდულად 239 და 240 ე ოთახებში).

კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტს აქვს უნივერსიტეტის მიერ გადმოცემული :

- ორი კომპიუტერი

ასევე, სხვადასხვა დროს საერთაშორისო გრანტებით მოპოვებული:

- ხუთი კომპიუტერი (მათ შორის 2 დღეისათვის აღარ ფუნქციონირებს)
- ერთი ფაქსი
- ერთი ქსეროქსი
- ერთი პრინტერი

ასევე, გვაქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით მოპოვებული წიგნები, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კონფლიქტების თემასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი მინი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში ასევე თავმოყრილია ქართულ და რუსულ ენაზე არსებული ყველა ძირითადი მასალა, რაც საჭიროა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის.

ძირითადი კურსების შინაარსი

შესავალი კონფლიქტოლოგიაში (სავალდებულო, 10 კრედიტი)

კურსის მიზანია ***ორი*** სემესტრის მანძილზე კონფლიქტების მართვის სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებს გააცნოს კონფლიქტის ბუნება, სტრუქტურა, კონფლიქტის მიმდინარეობის დინამიკა, კონფლიქტის ესკალაცია-დეესკალაციის, პრევენციის და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესები და ამ საკითხებთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომები.
კურსის სწავლება მიმდინარეობს ლექცია სემინარების სახით, იგი მნიშვნელოვანწილადაა ორიენტირებული სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაზე, მოიცავს დისკუსიებს და მასში გათვალისწინებულია პრაქტიკული პროექტების შესრულება, რაც სტუდენტებს დაეხმარებათ მომავალი საქმიანობის უკეთ წარმართვაში.

კურსის შესწავლის პროცესში ცოდნის შეძენის ძირითადი პირობაა სალექციო (ინტერაქციული), პრაქტიკული და სასემინარო მუშაობა.

კონფლიქტების ფსიქოლოგიური თეორიები (არჩევითი, 5 კრედიტი)

კურსი განკუთვნილია კონფლიქტების მართვის სპეციალობით მაგისტრის ხარისხის მაძიებელი სტუდენტებისათვის. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ის ფსიქოლოგიური თეორიები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების ახსნას. ნავარაუდევია, რომ აღნიშნული თეორიების ცოდნა ხელს შეუწყობს კონფლიქტების ბუნების გაგებას.
კურსის მსვლელობისას განხილული იქნება ამ სფეროში არსებული

1)კონფლიქტის ბაზისური ფსიქოლოგიური თეორიები:

1. კონფლიქტის ფსიქოდინამიკური თეორია
2. ველის თეორია
3. ადამიანური ურთიერთობის თეორია და კონფლიქტების სტილი
4. სოციალური გაცვლის თეორია და ექსპერიმენტული თამაშის კვლევები.

2) კონფლიქტის თანამედროვე თეორიები

1. პერსპექტივები და თეორიები. კოგნიტური და ინტერაქციონალისტური პერსპექტივები.
2. თანამედროვე კოგნიტური თეორიები: ვერბალური აგრესიის თეორია, ატრიბუციის თეორია, სოციალური თეორია.
3. თანამედროვე ინტერაქციონალისტური თეორიები: მნიშვნელობის კოორდინირებული მართვა; კონფრონტაციის ეპიზოდების თეორია; კონფლიქტის ურთიერთმიგების თეორია.

ინტერჯგუფური კონფლიქტები (არჩევითი, 5 კრედიტი)

კურსი მიზნად ისახავს ჯგუფში მიმდინარე პროცესების განხილვას; ჯგუფის დინამიკისა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ჭრილში კონფლიქტის წყაროებისა და წინაპირობების შესწავლას; სოციალური კოგნიციის მნიშვნელობას სხვა ჯგუფის აღქმაში და სოციალური სამართალის გაგებაში.

კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს ის გარეგანი პირობები და თვით ჯგუფისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფებს შორის კონფლიქტის გამოწვევას. გარდა ამისა, კურსი მიზნად ისახავს სოციალური კლასებს და რასებს შორის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაცნობას. ნავარაუდევია, რომ აღნიშნული საკითხების ცოდნა ხელს შეუწყობს ჯგუფებს შორის კონფლიქტის პრევენციას და თუ კონფლიქტი წარმოიქმნება მის მოგვარებას.

კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები (სავალდებულო, 10 კრედიტი)

კურსი ლაბორატორიულია და სიმულაციებზე იქნება აგებული. ეს ნიშნავს რომ სტუდენტებს შეეძლებათ გამოიყენონ კონფლიქტების გადასაჭრელად საჭირო ტექნიკები რეალურ სიტუაციებსა და დროში. კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს სხვასახვსა გზები და განუვითაროს უნარები, რომლებიც საჭიროა

კონფლიქტების ეფექტურად გასაანალიზებლად, გასაგებად და გადასაჭრელად. რადგან კლასი აკადემიური იქნება სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომები არ ავნებს მონაწილეებს. თუმცა როგორც რეალურ სიტუაციაში მათ შეეძლებათ განიცადონ ემოციები, რაც მათმა გაუაზრებელმა ან არასწორმა მოქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება არა პრობლემის თეორიულ გადაჭრასა და სიტუაციის გაგებაზე, არამედ თუ როგორ გაართმევენ სტუდენტები თავს სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციებს. რა თქმა უნდა ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭირო იქნება თეორიიული ცოდნის და საჭირო ტექნიკების გაერთიენება, პერსონალური უნარებისა და რესურსების მობილიზაცია.

ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან და გავარჯიშდებიან კონფლიქტის მართვის ისეთ ტექნიკებში, როგორიცაა მედიაცია, შუამავლობა, ფასილიტაცია, არბიტრაცია.

ომი, ძალადობა და კონფლიქტების გადაჭრა (არჩევითი, 5 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ძალადობრივი კონფლიქტების შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული ლიტერატურა, კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები და პირობები. ძირითად გამოიყოფა ძალადოვრივი კონფლიქტების ინტეგრირებული თეორია. იგი გამოიყენება როგორც საფუძველი ძალადობრივი კონფლიქტების განსახილველად - კონფლიქტების ნებისმიერ დონეზე, ისეთი კონფლიქტის გათვალისწინებითაც, როგორიცაა ცივი ომის შემდეგი ძალადობრივი ეთნიკური კონფლიქტები.

კონფლიქტის გლობალური კონტექსტი სავალდებულო, 5 კრედიტი)

მაგისტრატურის სტუდენტებმა უნდა გაანალიზონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ძველი – ქრესტომათიული და მიდინარე კონფლიქტები. შეისწავლონ კონფლიქტის წამოშობის მიზეზები და წყაროები, გარემო ფაქტორები, როგროიც არის: კულტურული განსხვავებები, ეკონომიკური კრიზისები, გენოციდი, რელიგიური და ეთნიკური ბრძოლები, გარემოს რესურსები სიმწირე, გენდერული განსხვავებები, ჩრდილოეთის და სამხრეთის არათანაბრობა და გლობალური კონტექსტის სხვა კომპონენტები.

კულტურა და კონფლიქტი (5 კრედიტი, არჩევითი)

კურსი მიზნად ისახავს კონფლიქტის ძირითადი ასპექტების განხილვას კულტურალური ფაქტორების ჭრილში. კურსი ეყრდნობა თეორიულ მასალას კონფლიქტის დინამიკის, კულტურის ფსიქოლოგიის და მისი როლის შესახებ კონფლიქტის ანალიზსა და მოგვარებაში. კურსი მოიცავს პრაქტიკული მაგალითების განხილვას, რომლის მიხედვითაც კურსის მონაწილეები შეისწავლიან კულტურის როლს კონფლიქტის გაანალიზებასა და მისი მოგვარების გზების დაგეგმვაში.

პოლიტიკური კონფლიქტების მართვა (არჩევითი, 5 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტმა გაიცნოს და დაეუფლოს პოლიტიკური კონფლიქტების მართვის თეორიულ და ემპირიული მასალას. კურსის მსვლელობისას განხილული იქნება ამ სფეროში არსებული თანამედროვე მიდგომები: თეორიები, კონკრეტული მეთოდები და მოდელები. კურსი შედგება შემდეგი ძირითადი საკითხისაგან.: პოლიტიკური კონფლიქტების არსი. პოლიტიკური კონფლიქტების სახეები და ტიპები. პოლიტიკური კონფლიქტების დინამიკა – ესკალაცია და დეესკალაცია. კონფლიქტში ძიერითად ქცევითი სტრატეგიები. ძალაუფლებისა და კონფლიქტის ურთიერთმიმართწებები. პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების გზები გარდამავალ პერიოდში, პოლიტიკური კონფლიქტებისას გადაწყვეტილებების მიღების გზები. კურსი დაფუძნებულია შესაბამის ორიგინალურ ლიტერატურაზე და საკითხავ მასალაზე.
სოციალური ფსიქოლოგია.

სოციალური ფსიქოლოგია (არჩევითი, 5 კრედიტი)

სოციალური ფსიქოლოგიის კურსის მიზანია მიაწოდოს მაგისტრანტებს საბაზო ცოდნა სოციალურ -ფსიქოლოგიური ურთიერთობების შესახებ, რაც კონფლიქტების არმოცენებისა და დინამიკის შეფასებისა და მართვის თეორიულ საფუძველს შეადგენს.

ინტერპერსონალური კონფლიქტები (5კრედიტი, სავალდებულო)

კურსი სტუდენტებს გააცნობს ინტერპერსონალური კონფლიქტის ფსიქოლოგიის ბაზისურ პრინციპებს; მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტებს განუვითარდებათ ინტერპერსონალური კონფლიქტების ბუნების კრიტიკული ანალიზის და მათი მოგვარების უნარი;მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტებს

განუვითარდებათ ინტერპერსონალური კონფლიქტების ბუნების კრიტიკული ანალიზის და მათი მოგვარების უნარი; სტუდენტს განუვითარდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დროის დაგეგმვის, ჯგუფში მუშაობის, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი; პრეზენტაციის უნარი.

კვლევის მეთოდები I და II (სავალდებულო, 10 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სოციალური კვლევის მეთოდები და მათი მნიშვნელოვნობა მონაცემების შეგროვებასა და ანალიზისათვის. კურსი ფოკუსირებული იქნება სოციალურ მეცნიერებებში არსებულ სხვადასხვა რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებზე. სტუდენტებს საშუალება ექნებათ გავარჯიშდნენ საკვლევ პრობლემასთან ადექვატური ტექნიკების შერჩევასა და გამოყენებაში. ტექნიკები განხილული იქნება შესაბამისი ეპისტემოლოგიურ ტრადიციების ფარგლებში. ამდენად, სტუდენტებს საშუალება მიეცემათ თავად მოაწყონ ქსპერიმენტული კვლევები, დაგეგმონ გამოკითხვები, მოახდინონ ქეისების ანალიზი, სხვადასხვა ლიტერატურის კონტენტანალიზი, გაეცნენ და გამოიყენონ ეთნოგრაფიული მეთოდები, ზეპირი ისტორიები და სხვა.

კვლევის მეთოდები SPSS (სავალდებულო, 5 კრედიტი)

მეორე სემესტრში კვლევის მეთოდებში შეისწავლება SPSS . ეს კურსი მიზნად ისახავს რაოდენობრივი კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის სწავლებას. კურსი ეფუძნება ძირითადი სტატისტიკური ტესტების განხილვას, მათ გამოყენებას პრაქტიკული მონაცემების დამუშავებისას.

მშვიდობის მშენებლობა (სავალდებულო, 5 კრედიტი)

კურსი დაწვრილებით მიმოიხილავს სხვადასხვა საკითხებს მშვიდობასა და კონფლიქტებთან მიმართებაში, როგორებიცაა ძალადობითი კონფლიქტი, მსოფლიო წყობის ფემინისტური კრიტიკა, სიღარიბე და ეკონომიკური პრობლემები, ეკოლოგიური დეგრადაცია. ასევე, შესწავლილი იქნება სხვადასხვა სტრატეგიები რომელებიც მნიშვნელოვანია მშვიდობის დასამყარებლად და კონფლიქტების გადასაჭრელად 21 საუკუნის საზოგადოების სხვადასხვა დონეზე. ამ სტრატეგიებს შორისაა სათემო ორგანიზაციების ხელშეწყობა, არაძალადობა, იერარქიული სოციალური წყობის ტრანსფორმაცია და ეკოლოგიური ბალანსი. მშვიდობის შენარჩუების,

მშენებლობისა და დამყარების საკითხები განხილული იქნება სხვადასხვა მიდგომებთან მიმართებაში. ასევე განხილული იქნება თუ ყველა ამ სტარტეგიების გაერთიანებას რა მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი მსოფლიოს მშენებლობაში.

აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციები(სავალდებულო, 5 კრედიტი)

კურსის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშაოს აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების რელიგიური, პოლიტიკური და არქეტიპულ-ფსიქოლოგიური საფუძვლების ანალიზის და მათ შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული განსხვავებების დანახვის უნარი.
კულტურა და ცივილიზაცია ისტორიულ პერიოდში აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ვითარდებოდა. განვითარების ამ გზაზე კულტურის და ცივილიზაციის ძველი ფორმებიდან ახალი იქმნებოდა, რაც აძნელებდა ძველსა და ახალს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და ხშირად ომების მოზეზი ხდებოდა. აღმოსავლეთი ძირითადად რელიგიების და სპირიტუალური სიბრძნის სამშობლოა, ევროპამ საზოგადოების მძლავრ სამართლებრივ-პოლიტიკურ განვითარებას ჩაუყარა საფუძველი, ხოლო ამერიკის კონტინენტზე არნახული განვითარება ჰპოვა საბაზრო ეკონომიკამ. ამ სამი დიდი რეგიონის განსხვავებული აქცენტები მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, რომელთა შორის არც თუ უმნიშვნელოა არქეტიპულ ფსიქოლოგიური განსხვავებანი. ურთიერთგანსხვავებათა შესწავლა და გათვალისწინება თავიდან აგვაცილებს ცივილიზაციათა შეჯახებას და ურთიერთგაგების აუცილებელი წინაპირობაა.

მედიაცია (5 კრედიტი, არჩევითი)

კურსის მიზანია, მაგისტრატური სტუდენტებისტვის კვალიფიციური ცოდნის მიწოდება შუამავლობის (მედიაციის) თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესახებ. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა მედიაციის სხვადასხვა მიდგომებს, დაეუფლება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შუამავლობის პროცესის ჩასატარებლად და შეიძენს ცოდნას, იმ პროცესების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მედიაციის წარმართვისთვის.

ინგლისური ენა(სპეციალური მიზნებისთვის, 5 კრედიტი, არჩევითი)

კონფლიქტების ანალიზი და მართვა
Conflict Analysis and Management
სამაგისტრო პროგრამა

კურსი განხილულია როგორც დამატება ბაზისური ინგლისური ენის კურსისათვის. მისი მიზანია სპეციალური ტექსტების და სავარჯიშოების გამოყენებით სტუდენტებმა შეისწავლონ ინგლისური ტერმინოლოგია, რაც საჭიროა კონფლიქტების ანალიზის და მოგვარების სფეროში მუშაობისთვის.

კონფლიქტის პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სისტემაში (არჩევითი, 5 კრედიტი)

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საგანმანათლებო სისტემაში (ძირითადად სკოლაში) შესაძლო კონფლიქტების წარმოშობის, მათი მოგვარების და თავიდან აცილების საკითხებს. განხილულია უსაფრთხო სკოლის შინაარსი, კომპონენტები, კონფლიქტის მოგვარების ხერხები. განსაკუთრებული ყურადრება ექცევა ტოლებს შორის მედიაციის გამოყენებას, ასევე არაძალადობრივი ქცევის მოტივაციის შექმნას მოსწავლეებში. კურსი ასევე მოიცავს სკოლის სხვადასხვა საფეხურზე კონფლიქტის მოგვარების და პრევენციისათვის რელევანტური პროგრამების შედგენის და განხორციელების საკითხებს.

საერთაშორისო კონფლიქტები(სავალდებულო, 5 კრედიტი)

კურსის მიზანია მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საერთაშორისო კონფლიქტბეის ისტორიისა და პრაქტიკის გაცნობა, კონკრეტული ქვეყნების მაგალითების განხილვა, თეორიული მასალით ცოდნის გამყარება.

ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში(არჩევითი, 5 კრედიტი)

კურსის მიზანია მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კვალიფიციური ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა კონფლიქტების ანალიზის, და მათი ალტერნატიული გზებით მოგვარების სფეროში, რაც გულისხმობს ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხერხების შესწავლას. სემესტრის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიულ მეთოდს.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**

კონფლიქტების ანალიზი და მართვა
Conflict Analysis and Management
სამაგისტრო პროგრამა

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ფსიქოლოგია**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კონფლიქტის ანალიზი და მართვა**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **გუგული მაღრაძე, სრული პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)												
სავალდებულო კურსები– 70 კრედიტი (ECTS) + არჩევითი 20 კრედიტი (ECTS)+სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემეტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკა**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოემზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება**	**დასკვნითი გამოცდის მომზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
1	შესავალი კონფლიქტოლოგიაში, I	5	30	30	29	12	24	3	წინაპირობის გარეშე	✓		გუგული მაღრაძე
2	შესავალი კონფლიქტოლოგიაში, II	5	30	30	29	12	24	3	შესავალი კონფლიქტოლოგიაში, I		✓	გუგული მაღრაძე
3	აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციები	5	30	30	65	32	20	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნოდარ ბელქანია
4	კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების გზები, I	5	30	15	55	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რევაზ ჯორბენაძე

5	კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების გზები, II	5	30	15	55	4	9	3	კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების გზები, I		✓	რევაზ ჯორბენაძე
6	მშვიდობის მშენებლობა	5	30	30	46	4	12	3	წინაპირობის გარეშე		✓	გუგული მაღრაძე
7	ინტერპერსონალური კონფლიქტები	5	15	30	64	4	9	3	შესავალი კონფლიქტოლოგიაში	✓		ნინო ქაჯაია
8	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ ჯორბენაძე
9	საერთაშორისო კონფლიქტები	5	15	30	64	4	9	3	შესავალი კონფლიქტოლოგიაში	✓		ლაშა ტუღუში
10	არჩევითი საგანი	5							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან	✓		
11	არჩევითი საგანი	5							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან	✓		
12	არჩევითი საგანი	5							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან		✓	

13	არჩევითი საგანი	5							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან		✓	
14	კონფლიქტის გლობალური კონტექსტი	5	30	30	46	4	12	3	შესავალი კონფლიქტოლოგიაში		✓	გუგული მაღრაძე
15	სოციალური კვლევის მეთოდები, I	5	30	30	49	4	9	3	ინგლისური	✓		ანი ქიტიაშვილი
16	სოციალური კვლევის მეთოდები, I I	5	30	30	49	4	9	3	ინგლისური		✓	ანი ქიტიაშვილი
17	პროექტის მართვა	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მედეა დესპოტაშვილი
18	SPSS	5	15	30	64	4	9	3	კვლევის მეთოდები		✓	მედეა დესპოტაშვილი
19	სამაგისტრო ნაშრომი	30									✓	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი